21

პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №

30 ოქტომბერი, 2024 წელი

პირადი განცხადების საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინგა ჯავახაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-6 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინგა ჯავახაძის პირადი განცხადებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 2024 წლის 2 ოქტომბრიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ინგა ჯავახაძეს პირადი განცხადებით, ვადამდე შეუწყდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ინგა ჯავახაძის წერილობითი განცხადება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ეთხოვოს №59 ქალაქ ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას, კანონით დადგენილ ვადებში წარმოუდგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ინგა ჯავახაძის ადგილმონაცვლე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- სამდივნო განყოფილების უფროსი

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია